განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“-ს მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2022

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	405365698
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ვეფხისტყაოსნის ქუჩა, N92, თბილისი, 0159, საქართველო
ვებ-გვერდი	https://www.britishuni.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	07.12.2020 №1214796
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	07.12.2026

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	4
ბაკალავრიატი	2
მაგისტრატურა	1
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60)	1
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	2
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			450
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	-	-	-
ბაკალავრიატი	-	-	-
მაგისტრატურა	-	-	-
ერთსაფეხურიანი	-	-	-
დოქტორანტურა	-	-	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის $ჰ^{48}$ პუნქტში

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	-	-	-
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	-
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	-
- პროფესორი	-
- ასოცირებული პროფესორი	-
- ასისტენტ პროფესორი	-
- ასისტენტი	-
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	-
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	-
- აფილირებული პროფესორი	-
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	-
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	-
- აფილირებული ასისტენტი	-
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	-
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	-

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის №1214796 გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს საქართველოში“ მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 450-ით. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულებას ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 1 წელი, ხოლო დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შემოწმების განხორციელება კი 2 წლის ვადაში.
შპს "ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში"-ს მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 20 სექტემბრის №122006 ბრძანების შესაბამისად, შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასება.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდება ონლაინ ფორმატში 2022 წლის 3 ოქტომბერს. ვიზიტი წარიმართა კოლეგიურ, საქმიან და მშვიდ გარემოში.
შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“-ს მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა შემდეგი დოკუმენტები:
1. მოქმედი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
2. დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის გეგმა;
3. სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები და შედეგების ანალიზის დოკუმენტი;
4. სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. სტუდენტების შეფასებისა და გასაჩივრების წესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმდინარე სემესტრული დატვირთვა, მათ შორის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
7. ბიბლიოთეკის სამეცნიერო ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი ხელშეკრულებები;
8. უნივერსიტეტის მოქმედი ბიუჯეტი;
9. სენატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ბოლო 3-4 ოქმი;
10. აფილირებულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
11. აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი.

დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტები.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულებამ ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული 35 რეკომენდაციიდან 30 სრულად შეასრულა, 1 მეტწილად შეასრულა, 3 ნაწილობრივ შეასრულა, ხოლო 1 არ შეასრულა.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით განისაზღვრა 5 რეკომენდაცია.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის პასუხად განვმარტავთ, რომ:
<u>რეკომენდაციები 1.2</u>
მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით სასწავლო უნივერსიტეტი განმარტავს, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას გაფართოვდეს მესამე მისიის აქტივობები, თუმცა არ ეთანხმება რეკომენდაციის პირველ ნაწილს, მესამე მისიის განაცხადი ასახოს სტრატეგიული განვითარების გეგმაში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში ასახული უნდა იყოს ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტები, ყველა ის სტრატეგიული მიზანი და ამოცანა, რაც დაკავშირებულია ინსტიტუციის სამომავლო საქმიანობასთან და მისი მისიის რეალიზებასთან. სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა - „ბრიტანული უნივერსიტეტის მისიაა, ბრიტანული აკადემიური მოდელის საქართველოს აკადემიურ გარემოსთან ადაპტაციის გზით, იყოს თანამედროვე პლატფორმა მომავლის ლიდერების აღსაზრდელად და საზოგადოების ტრანსფორმაციაში წვლილის შესატანად.“ ინსტიტუციის მისიის

განაცხადია „საზოგადოების ტრანსფორმაციაში წვლილის შეტანა“, რაც ჩვენი ხედვით დაკავშირებულია უნივერსიტეტის მესამე მისიის რეალიზებასთან. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს აღნიშნულ რეკომენდაციებს. <u>რეკომენდაციები 5.2</u> მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით სასწავლო უნივერსიტეტი განმარტავს, რომ დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამების შემუშავებაში და ინტერნაციონალიზაცია არ არის სასრული პროცესი, შესაბამისად აქტივობები მუდმივ რეჟიმში იგეგმება და ხორციელდება. ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს სამომავლო აქტივობები. გარდა ამისა, დასკვნაში მოცემული შეფასება ეფუძნება მხოლოდ საანაგარიშო პერიოდში გაწეულ საქმიანობას. ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს აღნიშნულ რეკომენდაციებს. <u>რეკომენდაცია 6.2</u> სასწავლო უნივერსიტეტი არ ეთანხმება რეკომენდაციას და განმარტავს, რომ აკადემიურ პერსონალს წლის განმავლობაში შეუძლია კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით დაფინანსებაზე განაცხადის წარდგენა, თუმცა სასწავლო წლის დასაწყისში დგება გეგმა, კონკრეტულ პირებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი ინტერვიუების დროს შეეცადა გაერკვია რამდენად იცნობს აკადემიური პერსონალი აღნიშნულ წესს. გასაუბრების დროს ისინი აღნიშნავდნენ, რომ წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუძლიათ განაცხადის წარდგენა და კონფერენციაში მონაწილეობა, რაც წარმოდგენილ მსჯელობასთან წინააღმდეგობაში მოდის, რადგან, პირობითად, თუ პროფესორი დაფინანსებას მოითხოვს ნოემბერში მათივე მტკიცებით მაშინვე იღებენ დაფინანსებას, სასწავლო უნივერსიტეტის მტკიცებით (და წესის მიხედვით) მან უნდა მოიცადოს მომდევნო წლის სექტემბრამდე, რათა აღნიშნული შესაბამისად გაიწეროს მომდევნო წლის ბიუჯეტში. ექსპერტთა ჯგუფი კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ ამ რეკომენდაციის მიზანი არის აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციის გაძლიერება კონკრეტული წესის/მექანიზმის მუშაობის პრინციპის თაობაზე, რათა არ არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.	
მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები: ☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: __2020 წლის 22-23 სექტემბერი__ ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: _____	
უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება **1.1 უსდ-ის მისია** • გასაგებად ახსენით, თუ რატომ მიიჩნევს უსდ თავს ბრიტანულ უნივერსიტეტად და რას ნიშნავს მისიის განაცხადის საფუძვლები.	• **რეკომენდაცია შესრულებულია** უნივერსიტეტმა ახსნა, თუ რატომ მიიჩნევს თავს ბრიტანულ უნივერსიტეტად. ეს ძირითადად დაკავშირებულია ბუკინგემის უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობასთან და პროგრამების მათი მხრიდან ვალიდაციასთან, ბრიტანული სწავლების მოდელის საბაკალავრო პროგრამებში დანერგვასთან. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია შეაფასა შესრულებულად.

2. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება **1.2 სტრატეგიული განვითარება** • უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა საჭიროებს მნიშვნელოვან გადახედვას, რათა სასურველი შედეგების მიღწევა შესაძლებელი იყოს დადგენილ ვადებში. • დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის რეალისტური და გაზომვადი გეგმა. • უნივერსიტეტმა თავის სტრატეგიულ გეგმაში უნდა ასახოს თუ რა წვლილს შეიტანს საზოგადოების განვითარებაში (სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური პროგრამები და აქტივობები ან უწყვეტი განათლების ხელშეწყობა).	• **რეკომენდაცია შესრულებულია** რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ბრიტანულმა სასწავლო უნივერსიტეტმა საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შესრულების ეტაპზე მოახდინა შეფასება, სტრატეგიული მართვის ჯგუფის მიერ განახლდა სტრატეგიული მეთოდოლოგია, უფრო მკაფიოდ აისახა მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები; განახლდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, გამოიკვეთა სამიზნე ნიშნულები, მათი შესრულებისათვის საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსი, დაკონკრეტდა მათი შესრულების ვადები. შესაბამისა, რეკომენდაცია შესრულებულად შეფასდა. • **რეკომენდაცია შესრულებულია** დაწესებულებამ შეიმუშავა დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის გეგმა, კერძოდ, შეიმუშავა 3-წლიანი ბიუჯეტის პროგნოზი, რომელშიც გაწერილია ინსტიტუციის შემოსავლების ძირითადი წყაროები - შემოსავალი უსდ-ს საქმიანობიდან, შემოსავალი ტრენინგ ცენტრებიდან და გრანტებიდან. დოკუმენტი ასახავს საპროგნოზო შემოსავალს ამ პუნქტებთან მიმართებით. შედეგად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. • **რეკომენდაცია არ არის შესრულებული** ამ პუნქტის მესამე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა მესამე მისიის განაცხადი, რომელიც აერთიანებს მესამე მისიით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად აუცილებელ სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი არ მიიჩნევს მესამე მისიას, როგორც მის ძირითად საქმიანობას, რის გამოც მან უშუალოდ სტრატეგიულ გეგმაში არ ასახა თუ რა წვლილის შეტანას გეგმავს საზოგადოების განვითარებაში. ამასთან, ინტერვიუს დროს მესამე მისიის რეალიზების თვალსაზრისით გამოიკვეთა მხოლოდ სიღარიბის დაძლევის კვლევის წარმოება და უნივერსიტეტის სივრცის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია შესრულებულად ვერ ჩაითვლება.
2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა **2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა** • რეკომენდებულია, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ბრიტანულმა უნივერსიტეტმა ორგანიზაციულ სტრუქტურაში დაყოს აკადემიური და ადმინისტრაციული ფუნქციები.	• **რეკომენდაცია შესრულებულია** რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტმა გადახედა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და სამუშაო აღწერილობებს, განაახლა უნივერსიტეტისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები. უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში დაემატა პოზიცია - რექტორის მოადგილე

• რეკომენდებულია, კოლეგიური ორგანოს დამოუკიდებლობის გაზრდა და რექტორის ძალაუფლების შეზღუდვა აკადემიურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში. • კოლეგიურ ორგანოებში (სენატი, ფაკულტეტის საბჭო) არჩევნების წესები და პროცედურები კანდიდატების რეგისტრაცია, საარჩევნო კამპანია, კენჭისყრის ფარულობა და ასე შემდეგ უნდა იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი.	სამეცნიერო და აკადემიური მიმართულებით. ასევე, გადანაწილდა ფუნქციები ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და რექტორის მოადგილეს შორის აკადემიური და სამეცნიერო, და ადმინისტრაციული მიმართულებით, შესაბამისად. ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, რეკომენდაცია შესრულდა. • **რეკომენდაცია შესრულებულია** საანგარიშო პერიოდში ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის, წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოების დებულებებში; უნივერსიტეტის კოლეგიურ ორგანოებში (ფაკულტეტის საბჭო, სენატი) შევიდნენ სტუდენტი წევრები; უზრუნველყოფილ იქნა კოლეგიალური ორგანოების უფლებამოსილების გაფართოება; ამასთან, კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულ იქნა აკადემიური პერსონალიც. გარდა ამისა, შემცირდა რექტორის უფლებამოსილება აკადემიურ და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით და შესაბამისად დელეგირდა რექტორის მოადგილესა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე. ამრიგად, რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად. • **რეკომენდაცია შესრულებულია** სასწავლო უნივერსიტეტმა განხორციელება ცვლილებები წარმომადგენლობითი საბჭოსა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებებში, რომლებიც ითვალისწინებს საბჭოს წევრობის მსურველი პირების დადგენილ ვადებში რეგისტრაციას, მათ საარჩევნო კამპანიასა და კენჭისყრის ფარულობას. ამრიგად, რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად.
2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა **2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები** • დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს ორიგინალი დოკუმენტი ან თუკი სხვა წყაროებია გამოყენებული, კეთილსინდისიერად უნდა მიუთითოს ეს წყაროები.	• **რეკომენდაცია შესრულებულია** შემუშავდა ორიგინალი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტი: „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები". დოკუმენტი აღწერს ხარისხის კულტურას, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებას, კვლევითი საქმიანობის და დაწესებულების სხვა სფეროების შეფასებას. შესაბამისად, რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად.
3. საგანმანათლებლო პროგრამები **3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება** • ჩართეთ გარე დაინტერესებული მხარეები (პოტენციური დამსაქმებლები, პროფესიული ორგანოები და ა.შ.) სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში. • გაითვალისწინეთ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში.	• **პირველი რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია** • **მეორე რეკომენდაცია შესრულებულია** ამ პუნქტის პირველი ორი რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულებამ ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში გაითვალისწინა ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართო გარე დაინტერესებული მხარეები. ამასთან, ამ პროგრამებთან მიმართებით ინსტიტუციამ

• გააუმჯობესეთ აკადემიური საქმიანობის მართვა საკანონმდებლო მოთხოვნების დროული შესრულებისა და ბიზნეს უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, ეფექტურად მოაგვარეთ პანდემიით ან სხვა გარემოებებით გამოწვეული ფორსმაჟორი. • ეფექტურად გამოიყენეთ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) გარე დაინტერესებულ მხარეებთან დროული და ფუნქციური კომუნიკაციისთვის და ბაზრის კვლევის ჩასატარებლად (განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში).	წარმატებით გაიარა ვალიდაციის პროცესი, რომლის ფარგლებშიც ბუკინგემის უნივერსიტეტის მიერ გადახედილ იქნა ორივე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. თუმცა, დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს ნაკლებად გამოიკვეთა დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამების განვითარებაში. შესაბამისად, პირველი რეკომენდაცია ჩაითვალა მეტწილად შესრულებულად, ხოლო მეორე რეკომენდაცია კი შესრულებულად. • **მესამე რეკომენდაცია შესრულებულია** მესამე რეკომენდაცია უკავშირდება იმ ფაქტს, რომ დაწესებულებამ დაგვიანებით, ვიზიტის ბოლოს, წარადგინა საგანმანათლებლო პროგრამების ინგლისურ ენაზე განხორციელების შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის დოკუმენტი. საკანონმდებლო ხასიათის დარღვევა მიმდინარე ვიზიტის დროს არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად. • **მეოთხე რეკომენდაცია შესრულებულია** პანდემიის პირობებში ბრიტანულმა უნივერსიტეტმა საქართველოში დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისათვის გამოიყენა Zoom და Google Meet პლატფორმები. სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით უნივერსიტეტი იყენებს Google Classroom-ს, სადაც სტუდენტებსა და ლექტორებს შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში, დაბრკოლების გარეშე ჩაატარონ როგორც ჰიბრიდული, ისე სრულად ონლაინ შეხვედრა. უნივერსიტეტის აუდიტორიები აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, ლეპტოპებითა და უწყვეტი ინტერნეტით. ამასთან, უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება კომპანიასთან შპს ჰოსტი.ჯი, რომელმაც უზრუნველყო სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (LMS) შექმნა. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა შესრულებულად.
3. საგანმანათლებლო პროგრამები **3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი** • საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და, განსაკუთრებით, დიდი ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს საგნობრივი სამიზნე ნიშნულების განაცხადების გამოყენებით, მოახდინეთ სწავლის შედეგების ხელმეორედ ფორმულირება და მოარგეთ ისინი საგნისა და სასწავლო სფეროების სპეციფიკას. • მოარგეთ ECTS კრედიტები სტუდენტების სავარაუდო დატვირთვას და გაითვალისწინეთ სავალდებულო სასწავლო მასალის მოცულობა, აგრეთვე დრო, რაც სტუდენტებს სჭირდებათ	• **პირველი და მეორე რეკომენდაციები შესრულებულია** დაკორექტირდა და დაზუსტდა პროგრამის სწავლის შედეგები და სტრუქტურა. სტრუქტურის შესაბამისად დაკორექტირდა ECTS კრედიტები თითოეული საგნისთვის. ბუკინგემის უნივერსიტეტისაგან მიღებულ იქნა გარე შემფასებლის დასკვნა საბაკალავრო პროგრამების რელევანტურობასა და მის ბრიტანულ პრაქტიკასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისად, ამ პუნქტის პირველი ორი რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შესრულებულად. • **რეკომენდაცია შესრულებულია**

ესეების, კითხვარის, პრეზენტაციებისა და სხვა გეგმიური დავალებების მოსამზადებლად. • გააუმჯობესეთ კომუნიკაციის სტრატეგია საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის, მისანიჭებელი ხარისხის, სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ და უზრუნველვყავით რეალისტური მოლოდინი ქართველ და უცხოელ პოტენციურ სტუდენტებში. • მოიყვანეთ სასწავლო პროგრამები უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობაში.	სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია პროგრამების ვალიდაციასთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები იყვნენ ინფორმირებული ვალიდაციასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებსა და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხები ასევე აღწერილია სასწავლო უნივერსიტეტის პრეზენტაციასა და საინფორმაციო ბროშურაში, რომელიც მიეწოდება პოტენციურ სტუდენტებს. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ითვლება შესრულებულად. • **რეკომენდაცია შესრულებულია** სასწავლო უნივერსიტეტის მისიის პირველი ნაწილი შეეხება სწორედ ბრიტანული აკადემიური მოდელის საქართველოს გარემოსთან ადაპტაციას. ბუკინგემის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შექმნილი ორივე საბაკალავრო პროგრამა ემსახურება ამ მიზანს. ეს უკანასკნელი არ შემოიფარგლება მხოლოდ ბრიტანული პროგრამების საქართველოში განხორციელებით, არამედ მოიაზრებს ბრიტანული სწავლების მოდელის დანერგვასაც (პროფესორის სტუდენტთა მცირე ჯგუფებთან მუშაობა, მენტორობის სისტემა და დავალებების შემუშავებასა და სტუდენტთა შეფასებაში ბრიტანელი გარე შემფასებლის ჩართულობა). საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში ასევე ასახულია მომავლის ლიდერების აღზრდასა და საზოგადოების ტრანსფორმაციაში წვლილის შეტანის ასპექტები. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.
3. საგანმანათლებლო პროგრამები **3.3 სწავლის შედეგების შეფასება** • თანმიმდევრულად და ეფექტურად განახორციელეთ სტუდენტების შეფასებისა და მისი გასაჩივრების სისტემები.	• **რეკომენდაცია შესრულებულია** ბრიტანულმა უნივერსიტეტმა საქართველოში სტუდენტთა პირველი ნაკადი მიიღო 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში. გასაჩივრების პრაქტიკა უნივერსიტეტს ჯერ-ჯერობით არ ჰქონია. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, შეფასების და მისი გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ სტუდენტებს დეტალურად განემარტათ საინფორმაციო შეხვედრების დროს. შეფასების გასაჩივრების შესახებ ინფორმაცია ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებშიც. საბაკალავრო პროგრამებში შეფასების მეთოდები დადასტურებულია ბრიტანული მხარის მიერ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტის საჩივრის განხილვის წესი. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად.
4. უსდ-ს პერსონალი	• **რეკომენდაცია შესრულებულია**

4.1. პერსონალის მართვა • უზრუნველვყავით, რომ თითოეულ პედაგოგს ნათლად ესმოდეს, რას ნიშნავს „აფილირება“.	მოცემულ საანგარიშო პერიოდში შეიცვალა აფილირებული აკადემიური პერსონალის ანაზღაურების წესი. ინტერვიუებმა ცხადყო, რომ აკადემიური პერსონალი იცნობს მათ ვალდებულებებს აფილირებასთან მიმართებით. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.
4. უსდ-ს პერსონალი **4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა** • დარწმუნდით, რომ აკადემიური პერსონალი არ არის გადატვირთული სხვა საქმიანობებით, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სამუშაო ხელშეკრულებასთან ბრიტანული უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ.	• **რეკომენდაცია შესრულებულია** ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყების წინ ინსტიტუცია გამოითხოვს ინფორმაციას აკადემიური პერსონალის სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციაში დასაქმების შესახებ, რაც მხედველობაში მიიღება მთლიანი დატვირთვის განსაზღვრისას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები **5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები** • გააფორმეთ თანამშრომლობის მემორანდუმები ეროვნულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, სტუდენტებისა და პერსონალისთვის ეროვნული და საერთაშორისო შესაძლებლობების ფართო სპექტრის შეთავაზების მიზნით. • სტუდენტებისათვის შეიმუშავეთ უფრო მეტი მოკლე და გრძელვადიანი საერთაშორისო პროექტები. • მარეგულირებელ დოკუმენტებში შეიტანეთ რეალური ინფორმაცია ფსიქოლოგთან დაკავშირებით. • გაზარდეთ დამსაქმებელთა რაოდენობა, შექმენით მონაცემთა სტრუქტურირებული ბაზა და აამოქმედეთ მემორანდუმები. • შეიმუშავეთ კულტურული და სპორტული აქტივობების უფრო მდიდარი არჩევანი და შესთავაზეთ სტუდენტებს. • უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთეთ ინფორმაცია სტიპენდიებისა და ფინანსური დახმარების შესახებ, მოახდინეთ მათი დივერსიფიკაცია უფრო მეტი სტუდენტისთვის და უზრუნველვყავით მათი ფართოდ გავრცელება.	• **რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია** მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა მოახერხა ორი სასწავლო პროგრამის ვალიდაცია ბუკინგემის უნივერსტიტეტში, ასევე, თანამშრომლობითი კავშირი დაამყარა მეისეის უნივერსიტეტთან, სადაც საზაფხულო სკოლის ფარგლებში მოხერხდა სამი სტუდენტის გამგზავრება. რადგან ამ ეტაპზე უნივერსიტეტში ჯერ კიდევ არ მოქმედებს ერაზმუს პლუსის (ან სხვა რომელიმე) გაცვლითი პროგრამის პროექტი, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული. • **რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია** როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ მხოლოდ მეისეის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში. სხვა სრულად დაფინანსებული მოკლე თუ გრძელვადიანი გაცვლითი პროგრამა ჯერჯერობით არ მოქმედებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია. • **რეკომენდაცია შესრულებულია** მარეგულირებელ დოკუმენტში ასახულია ინფორმაცია ფსიქოლოგის მომსახურების შესახებ. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათ უკვე ისარგებლეს ამ მომსახურებით. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია. • **რეკომენდაცია შესრულებულია** უნივერსიტეტმა შექმნა დამსაქმებელთა სტრუქტურირებული ბაზა და გააფორმა მემორანდუმები იმ ორგანიზაციებთან, სადაც შესაძლებელია სტუდენტებმა გაიარონ სასწავლო პრაქტიკა, სტაჟირება ან საბოლოოდ დასაქმდნენ. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

	• **რეკომენდაცია შესრულებულია** როგორც ინტერვიუების დროს სტუდენტები აღნიშნავენ, მათ მონაწილეობა მიიღეს, როგორც სპორტულ, ასევე კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში. უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს რამდენიმე აქტივობის განხორციელება ამ მიმართულებით, შესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია. • **რეკომენდაცია შესრულებულია** უნივერსიტეტმა დაარსა ვაჟა-ფშაველას ფონდი, რომელიც სტუდენტებისთვის გასცემს სტიპენდიას და, ასევე, შეიძლება ნაწილობრივ დაფაროს სწავლის გადასახადი. აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე და უკვე რამდენიმე სტუდენტი სარგებლობს ამ შესაძლებლობით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს რეკომენდაცია შესრულებულია.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა **6.1 კვლევითი საქმიანობა** • ნათლად ჩამოაყალიბეთ აკადემიური პერსონალის კვლევითი ვალდებულებები. • შეიმუშავეთ კვლევის პრიორიტეტების მკაფიო ხედვა და განსაზღვრეთ მისი ადგილი ბრიტანული უნივერსიტეტის საქმიანობაში.	• **რეკომენდაცია შესრულებულია** მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში მოხდა კვლევითი სამსახურის რეორგანიზაცია. ახლად შექმნილმა სტრუქტურულმა ერთეულმა შეიმუშავა ახალი დებულება, აკადემიური პერსონალის კვლევითი ვალდებულებები და მათი შეფასების წესი. ინტერვიუებმა ცხადყო, რომ აკადემიური პერსონალი იცნობს მათ მოვალეობებს კვლევითი საქმიანობის მიმართულებით. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია შესრულებულია. • **რეკომენდაცია შესრულებულია** უნივერსიტეტმა განსაზღვრა კვლევითი მიმართულებები (ძირითადად სოციალური მეცნიერებების კუთხით) და მათი შესრულება განსაზღვრა, როგორც უნივერსიტეტის მესამე მისიის ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა **6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია** • მკაფიო სტრატეგიის შემუშავება კვლევით საქმიანობაში გარე მკვლევარებისა და სტუდენტების ჩართვისთვის. • პერსონალის თითოეული წევრისთვის ინდივიდუალური გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება, რომელიც დაკავშირებული იქნება კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობასთან.	• **რეკომენდაცია შესრულებულია** მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში შემუშავდა წესი ორგანიზაციის გარედან მკვლევარის მოწვევის და მიმდინარე კვლევით პროექტში ჩართულობის შესახებ, ასევე, გაფორმდა რამდენიმე მემორანდუმი შესაბამის ორგანიზაციასთან. აქედან გამომდინარე, მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია. • **რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია** უნივერსიტეტმა შეიმუშავა წესი კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით დაფინანსების მოპოვების შესახებ. აკადემიური პერსონალი იცნობს წესის ზოგად შინაარსს. თუმცა, ინტერვიუებმა ცხადყო, რომ არ აქვთ ინფორმაცია კონკრეტული

	მექანიზმის შესახებ, რაც დაკავშირებულია განაცხადის წარდგენის ვადებთან. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა **6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება** • უზრუნველვყავით, რომ ყველა დაკავშირებული პირი კარგად იცნობდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მექანიზმს და თითოეული საქმიანობა შესრულდეს დროულად.	• **რეკომენდაცია შესრულებულია** ვიზიტის დროს დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალი ნათლად იცნობს მათ ვალდებულებებს კვლევით საქმიანობასთან მიმართებით, როგორც აქტივობების განხორციელების, ასევე, შეფასების ეტაპზე. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები **7.1 მატერიალური რესურსები** • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პარკინგის მოწყობა.	• **რეკომენდაცია შესრულებულია** უნივერსიტეტმა წარმოადგინა ფოტო მტკიცებულება, რომ პარკინგი მოეწყო სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, რაც მოწმობს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები **7.2. ბიბლიოთეკის რესურსები** • უზრუნველვყავით, რომ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი იყოს მთელი საკითხავი მასალა. • ბიბლიოთეკის პერსონალის ენობრივი შესაძლებლობების შესაბამისად, უზრუნველვყავით საბიბლიოთეკო მომსახურებების ხელმისაწვდომობა ყველა მომავალი სტუდენტისათვის, მათ შორის უცხოენოვანებისთვისაც.	• **რეკომენდაცია შესრულებულია** წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ბიბლიოთეკაში განხორციელდა ნაბეჭდი ლიტერატურის შესყიდვა, რომელიც სრულად ფარავს სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა შეიძინა წვდომის უფლება სამეცნიერო ბაზაზე. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია. • **რეკომენდაცია შესრულებულია** მოცემულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც დარგის სპეციფიკის მიმართულებით, ასევე, ენობრივი კომპეტენციების კუთხით. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები **7.4 ფინანსური რესურსები** • ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა. • დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის რეალისტური და გაზომვადი გეგმის შემუშავება.	• **რეკომენდაცია შესრულებულია** მოცემულ საანგარიშო პერიოდში მოხდა ფინანსური მართვისა და კონტროლის პოლიტიკის გადახედვა და ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, უნივერსიტეტში დაინერგა ფინანსური მართვის ელექტრონული პროგრამა, ასევე, გაფორმდა ხელშეკრულება ფინანსური აუდიტის ჩატარების თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია. • **რეკომენდაცია შესრულებულია** უნივერსიტეტმა წარმოადგინა ხედვა დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის კუთხით, კერძოდ, ტრენინგ ცენტრის მიერ შეთავაზებული მოკლე სასერტიფიკატო კურსები და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ამ გეგმის ძირითადი ნაწილია. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

1.2

- უნივერსიტეტმა თავის სტრატეგიულ გეგმაში უნდა ასახოს თუ რა წვლილს შეიტანს საზოგადოების განვითარებაში (სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური პროგრამები და აქტივობები ან უწყვეტი განათლების ხელშეწყობა).
- რეკომენდებულია, ინსტიტუციამ მკაფიოდ გაიაზროს საზოგადოების განვითარებაში საკუთარი როლი და გააფართოვოს უნივერსიტეტის მესამე მისიის აქტივობები.

3.1

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს გარე დაინტერესებული მხარეების (პოტენციური დამსაქმებლები, პროფესიული ორგანოები და ა.შ.) ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში.

5.2

- რეკომენდებულია, ინსტიტუციამ გააძლიეროს მუშაობა უცხოელ პარტნიორებთან ერთად ერთობლივი პროექტების მომზადების კუთხით, შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინებით, რათა სტუდენტებს და აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს მიეცეს შესაძლებლობა განახორციელონ მობილობა სწავლების მიზნით.

6.2

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მუშაობა აკადემიური პერსონალის ინფორმირების მიმართულებით, რათა ისინი ამომწურავ ინფორმაციას ფლობდნენ კონკრეტული მექანიზმების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია კონფერენციებში მათი მონაწილეობის მიზნით დაფინანსების მოპოვების საკითხებთან.

რჩევები

-

საუკეთესო პრაქტიკა

-

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. დიანა მჭედლიშვილი (თავმჯდომარე)
2. გიგა ხოსიტაშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • **გასაგებად ახსენით, თუ რატომ მიიჩნევს უსდ თავს ბრიტანულ უნივერსიტეტად და რას ნიშნავს მისიის განაცხადის საფუძვლები.** როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, უნივერსიტეტი რამდენიმე მიზეზის გამო მიიჩნევს თავს ბრიტანულ უნივერსიტეტად. კერძოდ, პროგრამის კურიკულუმისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მოდელი, რომელიც შექმნილია ბუკინგემის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და პროგრამების მათი მხრიდან ვალიდაცია; საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში დაინერგა ბრიტანული სწავლების მოდელი; სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ბაკალავრის დიპლომთან ერთად მიიღონ ბუკინგემის უნივერსიტეტის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ პროგრამა ვალიდირებულია მათ მიერ; ამასთან, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სტუდენტებს აქვთ დიდ ბრიტანეთში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ბუკინგემის უნივერსიტეტის მიერ ვალიდირებულ პროგრამებზე აკადემიური წელი იგეგმება მათთან შეთანხმებით; ბუკინგემის უნივერსიტეტის წარმომადგენელნი სამუშაო ვიზიტით სტუმრობენ ინსტიტუციას და უტარებენ ტრენინგებს პერსონალს, ხვდებიან სტუდენტებს; სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასებები და გამოცდების საკითხები წინასწარ თანხმდება მათთან, ხოლო გამოცდების შეფასების შედეგები განმეორებითი შეფასებისთვის ეგზავნება ბუკინგემის უნივერსიტეტს და შეფასება საბოლოოდ მტკიცდება ბუკინგემის უნივერსიტეტის საგამოცდო საბჭოზე; ბრიტანული მოდელის თანახმად, თითოეული სტუდენტი სარგებლობს ინდივიდუალურად შერჩეული მენტორის დახმარებით. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო უნივერსიტეტს აქვს მჭიდრო თანამშრომლობა ბუკინგემის უნივერსიტეტთან, რაც გააზრებული აქვთ და აღნიშნავენ ამ თანამშრომლობის სარგებელს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სასწავლო უნივერსიტეტის მისია; • სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი; • თვითშეფასების ანგარიში; • ბუკინგემის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • სტუდენტური სერვისები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.

- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა საჭიროებს მნიშვნელოვან გადახედვას, რათა სასურველი შედეგების მიღწევა შესაძლებელი იყოს დადგენილ ვადებში.**
- **დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის რეალისტური და გაზომვადი გეგმა.**
- **უნივერსიტეტმა თავის სტრატეგიულ გეგმაში უნდა ასახოს თუ რა წვლილს შეიტანს საზოგადოების განვითარებაში (სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური პროგრამები და აქტივობები ან უწყვეტი განათლების ხელშეწყობა).**

რეკომენდაციის შესრულების მიზნით, ბრიტანულმა სასწავლო უნივერსიტეტმა საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შესრულების ეტაპზე მოახდინა შეფასება, სტრატეგიული მართვის ჯგუფის მიერ განახლდა სტრატეგიული მეთოდოლოგია, უფრო მკაფიოდ აისახა მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები; განახლდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, გამოიკვეთა სამიზნე ნიშნულები, მათი შესრულებისათვის საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსი, დაკონკრეტდა მათი შესრულების ვადები. შესაბამისა, რეკომენდაცია შესრულებულად შეფასდა.

დაწესებულებამ შეიმუშავა დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის გეგმა, კერძოდ, შეიმუშავა 3-წლიანი ბიუჯეტის პროგნოზი, რომელშიც გაწერილია ინსტიტუციის შემოსავლების ძირითადი წყაროები - შემოსავალი უსდ-ს საქმიანობიდან, შემოსავალი ტრენინგ ცენტრებიდან და გრანტებიდან. დოკუმენტი ასახავს საპროგნოზო შემოსავალს ამ პუნქტებთან მიმართებით. შედეგად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.

ამ პუნქტის მესამე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა მესამე მისიის განაცხადი, რომელიც აერთიანებს მესამე მისიით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად აუცილებელ სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი არ მიიჩნევს მესამე მისიას, როგორც მის ძირითად საქმიანობას, რის გამოც მან უშუალოდ სტრატეგიულ გეგმაში არ ასახა თუ რა წვლილის შეტანას გეგმავს საზოგადოების განვითარებაში. ამასთან, ინტერვიუს დროს მესამე მისიის რეალიზების თვალსაზრისით გამოიკვეთა მხოლოდ სიღარიბის დაძლევის კვლევის წარმოება და უნივერსიტეტის სივრცის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია შესრულებულად ვერ ჩაითვლება. ამასთან, რეკომენდებულია, ინსტიტუციამ მკაფიოდ გაიაზროს საზოგადოების განვითარებაში საკუთარი როლი და გააფართოვოს უნივერსიტეტის მესამე მისიის აქტივობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- 3-წლიანი ბიუჯეტის პროგნოზი;
- მესამე მისიის განაცხადი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა თავის სტრატეგიულ გეგმაში უნდა ასახოს თუ რა წვლილს შეიტანს საზოგადოების განვითარებაში (სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური პროგრამები და აქტივობები ან უწყვეტი განათლების ხელშეწყობა).
- რეკომენდებულია, ინსტიტუციამ მკაფიოდ გაიაზროს საზოგადოების განვითარებაში საკუთარი როლი და გააფართოვოს უნივერსიტეტის მესამე მისიის აქტივობები.

რჩევები:

-

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • **რეკომენდებულია, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ბრიტანულმა უნივერსიტეტმა ორგანიზაციულ სტრუქტურაში დაყოს აკადემიური და ადმინისტრაციული ფუნქციები.** • **რეკომენდებულია, კოლეგიური ორგანოს დამოუკიდებლობის გაზრდა და რექტორის ძალაუფლების შეზღუდვა აკადემიურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.** • **კოლეგიურ ორგანოებში (სენატი, ფაკულტეტის საბჭო) არჩევნების წესები და პროცედურები კანდიდატების რეგისტრაცია, საარჩევნო კამპანია, კენჭისყრის ფარულობა და ასე შემდეგ უნდა იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი.** რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტმა გადახედა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და სამუშაო აღწერილობებს, განაახლა უნივერსიტეტისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები. უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში დაემატა პოზიცია - რექტორის მოადგილე სამეცნიერო და აკადემიური მიმართულებით, რომლის საქმიანობის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესების ზედამხედველობა. ამასთან, რექტორს უშუალოდ ექვემდებარება ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და რექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით, ბიბლიოთეკა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ტრენინგ-ცენტრი. ასევე, გადანაწილდა ფუნქციები ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და რექტორის მოადგილეს შორის აკადემიური და სამეცნიერო, და ადმინისტრაციული მიმართულებით, შესაბამისად. ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, რეკომენდაცია შესრულდა. საანგარიშო პერიოდში ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის, წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოების დებულებებში; უნივერსიტეტის კოლეგიურ ორგანოებში (ფაკულტეტის საბჭო, სენატი) შევიდნენ სტუდენტი წევრები; უზრუნველყოფილ იქნა კოლეგიალური ორგანოების უფლებამოსილების გაფართოება; ამასთან, კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულ იქნა აკადემიური პერსონალიც; ფუნქციონირებს წარმომადგენლობითი

საბჭო (სენატი), რომლის უფლებამოსილებაშიც შედის აკადემიური მიმართულებით უნივერსიტეტის პოლიტიკის განმსაზღვრელი ყველა ძირითადი რეგულაციის დამტკიცება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. გარდა ამისა, შემცირდა რექტორის უფლებამოსილება აკადემიურ და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით და შესაბამისად დელეგირდა რექტორის მოადგილესა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე. ამრიგად, რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად.

ამ პუნქტის მესამე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელა ცვლილებები წარმომადგენლობითი საბჭოსა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებებში, რომლებიც ითვალისწინებს საბჭოს წევრობის მსურველი პირების დადგენილ ვადებში რეგისტრაციას, მათ საარჩევნო კამპანიასა და კენჭისყრის ფარულობას. განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, ინსტიტუციაში განხორციელდა წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოების არჩევნები, რომელთა შემადგენლობაშიც ადმინისტრაციულ პირებთან ერთად შევიდნენ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. ამრიგად, რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების სტრუქტურა;
- სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობები;
- წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოების დებულებები;
- სასწავლო უნივერსიტეტის და სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- სენატის და ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს ორიგინალი დოკუმენტი ან თუკი სხვა წყაროებია გამოყენებული, კეთილსინდისიერად უნდა მიუთითოს ეს წყაროები.**

რეკომენდაციის შესრულების მიზნით, შემუშავდა ორიგინალი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტი: „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები". დოკუმენტი აღწერს ხარისხის კულტურას, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებას, კვლევითი საქმიანობის და დაწესებულების სხვა სფეროების შეფასებას. შესაბამისად, რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაციები არ იყო განსაზღვრული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • **ჩართეთ გარე დაინტერესებული მხარეები (პოტენციური დამსაქმებლები, პროფესიული ორგანოები და ა.შ.) სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში.** • **გაითვალისწინეთ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა სასწავლო პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში.** • **გააუმჯობესეთ აკადემიური საქმიანობის მართვა საკანონმდებლო მოთხოვნების დროული შესრულებისა და ბიზნეს უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, ეფექტურად მოაგვარეთ პანდემიით ან სხვა გარემოებებით გამოწვეული ფორსმაჟორი.** • **ეფექტურად გამოიყენეთ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) გარე დაინტერესებულ მხარეებთან დროული და ფუნქციური კომუნიკაციისთვის და ბაზრის კვლევის ჩასატარებლად (განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში).** ამ პუნქტის პირველი ორი რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულებამ ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში გაითვალისწინა ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართო გარე დაინტერესებული მხარეები. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის წარმოდგენილია გარე ექსპერტის შეფასება. რაც შეეხება საბაკალავრო პროგრამებს, მათი განვითარების თვალსაზრისით, პროცესში აქტიურად ჩართულია ბუკინგემის უნივერსიტეტი და მათ მიერ მოწვეული გარე შემფასებლები. ამასთან, ამ პროგრამებთან მიმართებით ინსტიტუციამ წარმატებით გაიარა ვალიდაციის პროცესი, რომლის ფარგლებშიც ბუკინგემის უნივერსიტეტის მიერ გადახედილი იქნა ორივე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. თუმცა, დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს ნაკლებად გამოიკვეთა დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამების განვითარებაში. შესაბამისად, პირველი რეკომენდაცია ჩაითვალა მეტწილად შესრულებულად, ხოლო მეორე რეკომენდაცია კი შესრულებულად. ამასთან, რეკომენდებულია, გაძლიერდეს გარე დაინტერესებული მხარეების (პოტენციური დამსაქმებლები, პროფესიული ორგანოები და ა.შ.) ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში. მესამე რეკომენდაცია უკავშირდება იმ ფაქტს, რომ დაწესებულებამ დაგვიანებით, ვიზიტის ბოლოს, წარადგინა საგანმანათლებლო პროგრამების ინგლისურ ენაზე განხორციელების შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის დოკუმენტი. საკანონმდებლო ხასიათის დარღვევა მიმდინარე ვიზიტის დროს არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად. ამ პუნქტის ბოლო რეკომენდაციასთან მიმართებით თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით და გასაუბრების დროს მიღებული მიგნებების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პანდემიის პირობებში ბრიტანულმა უნივერსიტეტმა საქართველოში დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისათვის გამოიყენა Zoom და Google Meet პლატფორმები. სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით უნივერსიტეტი იყენებს Google Classroom-ს, სადაც სტუდენტებსა და ლექტორებს შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში, დაბრკოლების გარეშე ჩაატარონ როგორც ჰიბრიდული, ისე სრულად ონლაინ შეხვედრა. უნივერსიტეტის აუდიტორიები აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, ლეპტოპებითა და უწყვეტი ინტერნეტით. ამასთან, უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება კომპანიასთან შპს ჰოსტი.ჯი, რომელმაც უზრუნველყო სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (LMS) შექმნა. აღნიშნული სისტემა სატესტო რეჟიმში გაეშვება 2022-2023 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრიდან. სისტემაში უკვე ატვირთულია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო

პროგრამების სილაბუსები და ასახულია სტუდენტების ქულები. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციები ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა შესრულებულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- Zoom პლატფორმის გამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- Google Education პლატფორმის გამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დისტანციური/ელექტრონული და შერეული ფორმით სწავლება-სწავლის ადმინისტრირების წესი;
- ხელშეკრულება კომპანია - შპს ჰოსტი.ჯი-სთან;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს გარე დაინტერესებული მხარეების (პოტენციური დამსაქმებლები, პროფესიული ორგანოები და ა.შ.) ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში.

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და, განსაკუთრებით, დიდი ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს საგნობრივი სამიზნე ნიშნულების განაცხადების გამოყენებით, მოახდინეთ სწავლის შედეგების ხელმეორედ ფორმულირება და მოარგეთ ისინი საგნისა და სასწავლო სფეროების სპეციფიკას.**
- **მოარგეთ ECTS კრედიტები სტუდენტების სავარაუდო დატვირთვას და გაითვალისწინეთ სავალდებულო სასწავლო მასალის მოცულობა, აგრეთვე დრო, რაც სტუდენტებს სჭირდებათ ესეების, კითხვარის, პრეზენტაციებისა და სხვა გეგმიური დავალებების მოსამზადებლად.**
- **გააუმჯობესეთ კომუნიკაციის სტრატეგია საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის, მისანიჭებელი ხარისხის, სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ და უზრუნველყავით რეალისტური მოლოდინი ქართველ და უცხოელ პოტენციურ სტუდენტებში.**
- **მოიყვანეთ სასწავლო პროგრამები უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობაში.**

როგორც ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, გაგრძელდა პროგრამების კურიკულუმის განვითარებასა და სრულყოფაზე მუშაობა.

კერძოდ, დაკორექტირდა და დაზუსტდა პროგრამის სწავლის შედეგები და სტრუქტურა. სტრუქტურის შესაბამისად დაკორექტირდა ECTS კრედიტები თითოეული საგნისთვის. 2021 წლის 7 ივლისს ბუკინგემის უნივერსიტეტისაგან მიღებულ იქნა გარე შემფასებლის დასკვნა ბიზნესისა და მენეჯმენტის პროგრამის რელევანტურობასა და მის ბრიტანულ პრაქტიკასთან შესაბამისობის შესახებ, რომლის მიხედვითაც პროგრამა არის ყველა სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში. ანალოგიური დოკუმენტი იქნა მიღებული 13 ივლისს პოლიტიკის მეცნიერების პროგრამასთან მიმართებით, რომელშიც ასევე განმარტებულია პროგრამის სრულ შესაბამისობა ბრიტანულ სტანდარტებთან. ამავე წლის 15 სექტემბერს ბიზნესისა და მენეჯმენტის პროგრამამ წარმატებით გაიარა საბოლოო საფეხური და დამტკიცდა ბუკინგემის უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის დეკანისა და Chair of the University Assessment Learning and Teaching Committee – ის მიერ. მიმდინარე წლის 8 აპრილს კი განხორციელდა პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ვალიდაციის საბოლოო დადასტურება ბუკინგემის უნივერსიტეტის მიერ. შესაბამისად, ამ პუნქტის პირველი ორი რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შესრულებულად.

სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია პროგრამების ვალიდაციასთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები იყვნენ ინფორმირებული ვალიდაციასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებსა და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხები ასევე აღწერილია სასწავლო უნივერსიტეტის პრეზენტაციასა და საინფორმაციო ბროშურაში, რომელიც მიეწოდება პოტენციურ სტუდენტებს. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ითვლება შესრულებულად.

ამ პუნქტის ბოლო რეკომენდაციასთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მისიის პირველი ნაწილი შეეხება სწორედ ბრიტანული აკადემიური მოდელის საქართველოს გარემოსთან ადაპტაციას. ბუკინგემის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შექმნილი ორივე საბაკალავრო პროგრამა ემსახურება ამ მიზანს. ეს უკანასკნელი არ შემოიფარგლება მხოლოდ ბრიტანული პროგრამების საქართველოში განხორციელებით, არამედ მოიაზრებს ბრიტანული სწავლების მოდელის დანერგვასაც (პროფესორის სტუდენტთა მცირე ჯგუფებთან მუშაობა, მენტორობის სისტემა და დავალებების შემუშავებასა და სტუდენტთა შეფასებაში ბრიტანელი გარე შემფასებლის ჩართულობა). საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში ასევე ასახულია მომავლის ლიდერების აღზრდასა და საზოგადოების ტრანსფორმაციაში წვლილის შეტანის ასპექტები. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- საბაკალავრო პროგრამებზე ბუკინგემის უნივერსიტეტის მიერ ვალიდაციის წარმატებით დასრულების შესახებ ცნობები;
- სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ საკომუნიკაციო პრეზენტაცია;
- სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ბროშურა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **თანმიმდევრულად და ეფექტურად განახორციელეთ სტუდენტების შეფასებისა და მისი გასაჩივრების სისტემები.**

ბრიტანულმა უნივერსიტეტმა საქართველოში სტუდენტთა პირველი ნაკადი მიიღო 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში. გასაჩივრების პრაქტიკა უნივერსიტეტს ჯერ-ჯერობით არ ჰქონია. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, შეფასების და მისი გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ სტუდენტებს დეტალურად განემარტათ საინფორმაციო შეხვედრების დროს. შეფასების გასაჩივრების შესახებ ინფორმაცია ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებშიც. საბაკალავრო პროგრამებში შეფასების მეთოდები დადასტურებულია ბრიტანული მხარის მიერ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტის საჩივრის განხილვის წესი. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ჩაითვალა შესრულებულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტის საჩივრის განხილვის წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
• **უზრუნველყავით, რომ თითოეულ პედაგოგს ნათლად ესმოდეს, რას ნიშნავს „აფილირება“.** წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა მოცემული რეკომენდაციის საპასუხოდ. კერძოდ, შემუშავდა აფილირების წესი, რომელიც განსაზღვრავს ინსტიტუციისა და აფილირებული აკადემიური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს, დატვირთვას და ანაზღაურების წესს. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტები მოწმობს, მოცემული წესის გაცნობის მიზნით, აკადემიურ პერსონალთან ჩატარდა ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრები. ასევე, აკადემიურ პერსონალს დაეგზავნა შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მისამართზე, სადაც დეტალურად იყო განხილული წესის ძირითადი ნაწილები. გარდა ამისა, აფილირების შესახებ დეტალები ასევე გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში. ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა ინტერვიუების დროს გადაემოწმებინა რამდენად ინფორმირებულნი იყვნენ აფილირებული აკადემიური პერსონალი მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. როგორც აღმოჩნდა, ისინი ნათლად აყალიბებენ მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ მარეგულირებელ წესებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, რაც მოწმობს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • რექტორის ბრძანება აფილირების წესისა და პირობების შესახებ; • აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვისა და ანაზღაურების წესი; • აფილირების შეთანხმების ნიმუში; • აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი აღრიცხვის ფურცელი; • ელექტრონული ფოსტით მიწოდებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტი; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

- **დარწმუნდით, რომ აკადემიური პერსონალი არ არის გადატვირთული სხვა საქმიანობებით, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სამუშაო ხელშეკრულებასთან ბრიტანული უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ მოცემულ საანგარიშო პერიოდში შეიცვალა აფილირებული აკადემიური პერსონალის ანაზღაურების წესი, კერძოდ, დაწესდა ყოველთვიური ანაზღაურება, ნაცვლად საათობრივი ანაზღაურებისა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ კომპონენტს: სასწავლო დატვირთვა (სავალდებულო), სამეცნიერო აქტივობები (სავალდებულო) და უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობის კომპონენტს (არ არის სავალდებულო). როგორც ინტერვიუების დროს იქნა განმარტებული, ინსტიტუციის მართვის ძირითადი რგოლი მოცემულ ცვლილებას აფასებს, როგორც ერთ-ერთ მიზეზს იმისა, რომ სტაბილური ანაზღაურების პირობებში აფილირებული აკადემიური პერსონალი ნაკლებად დაიტვირთავს თავს სხვა საქმიანობით, მათ შორის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. შესაბამისად ეს სქემა ხელს შეუწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა რამდენად ითვალისწინებდა ინსტიტუცია აკადემიური პერსონალის დატვირთვას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, სემესტრის დასაწყისში აკადემიური პერსონალი ვალდებულია წარმოადგინოს სავარაუდო დატვირთვის შესახებ ინფორმაცია, რაც მხედველობაში მიიღება მათი საათობრივი დატვირთვის დროს. აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუების დროს დაადასტურა აღნიშნული, თუმცა, მოწვეულ ლექტორებს მსგავსი გამოცდილება არ ჰქონიათ. მათ აღნიშნეს, რომ მოცემულ ინსტიტუციასთან საქმიანი ურთიერთობის დაწყების ეტაპზე დაისვა საკითხი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დატვირთვის თაობაზე, თუმცა, უშუალოდ სასწავლო სემესტრის დაწყებისას მათ ეს ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია, რადგან ინსტიტუციამ გადადგა ნაბიჯები და აფილირებული/აკადემიური პერსონალის დატვირთვა შესაბამისობაშია მოყვანილი, ყოველი სასწავლო სემესტრის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება მათი დატვირთვა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სასურველია, იგივე პოლიტიკა ვრცელდებოდეს მოწვეულ ლექტორებთან მიმართებაშიც, კერძოდ, მხედველობაში იქნეს მიღებული კონკრეტული პირის დატვირთვა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან მინიმუმ როგორც დამსაქმებელი, ინსტიტუცია ფლობდეს ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- რექტორის ბრძანება აფილირების წესისა და პირობების შესახებ;
- აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვისა და ანაზღაურების წესი;
- აფილირების შეთანხმების ნიმუში;
- ინსტიტუციის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები: • სასურველია, ყოველი სემესტრის დასაწყისში ინსტიტუციამ გამოითხოვოს ინფორმაცია მოწვეული ლექტორების სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში დატვირთვის შესახებ.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაციები არ იყო განსაზღვრული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

- **გააფორმეთ თანამშრომლობის მემორანდუმები ეროვნულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, სტუდენტებისა და პერსონალისთვის ეროვნული და საერთაშორისო შესაძლებლობების ფართო სპექტრის შეთავაზების მიზნით.**
- **სტუდენტებისათვის შეიმუშავეთ უფრო მეტი მოკლე და გრძელვადიანი საერთაშორისო პროექტები.**
- **მარეგულირებელ დოკუმენტებში შეიტანეთ რეალური ინფორმაცია ფსიქოლოგთან დაკავშირებით.**
- **გაზარდეთ დამსაქმებელთა რაოდენობა, შექმენით მონაცემთა სტრუქტურირებული ბაზა და აამოქმედეთ მემორანდუმები.**
- **შეიმუშავეთ კულტურული და სპორტული აქტივობების უფრო მდიდარი არჩევანი და შესთავაზეთ სტუდენტებს.**

უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთეთ ინფორმაცია სტიპენდიებისა და ფინანსური დახმარების შესახებ, მოახდინეთ მათი დივერსიფიკაცია უფრო მეტი სტუდენტისთვის და უზრუნველვყავით მათი ფართოდ გავრცელება.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს, მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა გადადგა ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. კერძოდ, თავდაპირველად მოახდინა ორი სასწავლო პროგრამის ვალიდაცია ბუკინგემის უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად. ეს პროცესი მოიაზრებს სასწავლო კურსების შინაარსის, მოთხოვნებისა და შეფასების მეთოდების იმგვარ მოდიფიცირებას, რომ ის შეესაბამებოდეს გაერთიანებულ სამეფოში არსებულ ხარისხის სტანდარტებს. ვალიდაციის შემდეგ, სასწავლო კურსებში სტუდენტთა ნაშრომების შეფასება ხდება სამი შემფასებლის მიერ, მათ შორის ერთი აუცილებლად არის ბუკინგემის უნივერსიტეტის წარმომადგენელი. ამ პროგრამების დასრულების შემდეგ, ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომთან ერთად სტუდენტს გადაეცემა სერტიფიკატი, რომ მოცემული პროგრამა ვალიდირებულია ბუკინგემის უნივერსიტეტის მიერ. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა აღნიშნული პრაქტიკა ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყო თუ არა, რაზეც ინსტიტუციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტს აქვს არჩევანი ან ისწავლოს ვალიდირებულ სასწავლო პროგრამაზე და გავრცელდეს შესაბამისი წესები, ან სწავლა გააგრძელოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და პრაქტიკის შესაბამისი წესებით. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად მიღებული სერვისის შესაბამისად გარკვეულ თანხას უხდის ბუკინგემის უნივერსიტეტს. შესაბამისად, ის შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სერვისის მომწოდებელი ორგანიზაცია, ხოლო ადგილობრივი ინსტიტუცია, როგორც ამ სერვისის მიმღები. ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში თუ იყო შემთხვევა, როდესაც სტუდენტი გაცვლითი სტუდენტის სტატუსით იმყოფებოდა ბუკინგემის უნივერსიტეტში. როგორც აღმოჩნდა, ჯერჯერობით მსგავსი პრაქტიკა არ ყოფილა. დამატებით განიმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მოისურვებს სწავლის გაგრძელებას გაერთიანებულ სამეფოში, მან თავად უნდა აანაზღაუროს ყველა თანმდევი ხარჯი. ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა თანამშრომლობის რა გამოცდილება არსებობს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლის კუთხით. როგორც ინსტიტუციის წარმომადგენლებმა განმარტეს, საქართველოდან დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა რექტორი და ვიცე-რექტორი, სხვა აკადემიური და/ან ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა არ განხორციელებულა.

რაც შეეხება ბრიტანული მხრიდან ვიზიტს, ისინი რამდენჯერმე იმყოფებოდნენ საქართველოში და გამართეს ტრენინგი ადგილობრივი პერსონალისთვის.

ინტერნაციონალიზაციის ჭრილში ასევე მნიშვნელოვანია ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლობა იაპონურ მხარესთან. ამ შეთანხმების ფარგლებში საქართველოდან 2 სტუდენტი გაემგზავრა საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მიზნით. როგორც უნივერსიტეტის პერსონალი აღნიშნავს, ისინი მიმდინარე სემესტრში ელოდებიან საპასუხო ვიზიტს.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა თუ რა გამოცდილება ჰქონდა ინსტიტუციას მოცემულ საანგარიშო პერიოდში ერაზმუს პლუსის გაცვლითი პროგრამების კუთხით. როგორც გაირკვა, ამ ეტაპზე უნივერსიტეტში არ მოქმედებს ერაზმუსის არცერთი გაცვლითი პროგრამა, არც სტუდენტთა და არც თანამშრომელთა მობილობის კუთხით. ინტერვიუების დროს ადმინისტრაციული პერსონალი განმარტავს, რომ იგეგმება თანამშრომლობის ინიცირება უფსალას, ვილნიუსის და პოზნანის უნივერსიტეტებთან, თუმცა, არა ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში, არამედ ინდივიდუალურად ორმხრივი მემორანდუმის გზით. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი საწყის ეტაპზეა და დამატებით დეტალების დაზუსტება ამ ეტაპზე შეუძლებელია.

მოცემული ვითარების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პირველი ორი რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული. რადგან, ამ დრომდე ინსტიტუციამ ვერ მოახერხა არსებული თანამშრომლობის ქსელის გაფართოება იმ მიმართულებით, რომ სტუდენტებს უფრო მრავალფეროვანი შესაძლებლობები ჰქონდეთ, მათ შორის გაცვლითი პროგრამების კუთხით. შესაბამისად, რეკომენდირებულია, ინსტიტუციამ გააძლიეროს მუშაობა უცხოელ პარტნიორებთან ერთად ერთობლივი პროექტების მომზადების კუთხით, შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინებით, რათა სტუდენტებს და აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს მიეცეს შესაძლებლობა განახორციელონ მობილობა სწავლების მიზნით.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, ინსტიტუციაში მოქმედებს ფსიქოლოგის დახმარების შესაძლებლობა. ამის შესახებ ინფორმაცია მოყვანილია სტუდენტთა გზამკვლევში. ექსპერტთა ჯგუფს ინტერვიუების დროს სტუდენტებმა დაუდასტურეს, რომ ინფორმირებული არიან აღნიშნულის თაობაზე და რამდენიმემ უკვე ისარგებლა ამ სერვისით, შესაბამისად, ეს რეკომენდაცია შესრულებულია.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ინსტიტუციის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურმა შეადგინა დამსაქმებელთა რეესტრი, სადაც მოცემულია ორგანიზაციები, მათი საკონტაქტო პირები სასწავლო პროგრამების მიხედვით. ექსპერტები ასევე გაესაუბრნენ დამსაქმებლებს და სტუდენტებს. ორივე სესიაზე დადასტურდა, რომ მხარეები ინფორმირებული იყვნენ არსებული შესაძლებლობების შესახებ და გამოთქვამენ მზაობას თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდეს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

მოცემულ საანგარიშო პერიოდში სტუდენტებისთვის დაიგეგმა და განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება, რომელიც მოიაზრებოდა კულტურული ან სპორტული ხასიათის აქტივობად. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტთა კონტინგენტი საკმაოდ მცირეა, ინსტიტუციამ დაინტერესებულ პირებს შესთავაზა მონაწილეობის მიღება ბოულინგისა და ჭადრაკის შეჯიბრებებში, რომელიც მათი ინტერესების შესაბამისად იყო იდენტიფიცირებული. სტუდენტებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სპორტული აქტივობების გარდა მათ მონაწილეობა მიიღეს ექსკურსიებში, რომელიც ინსტიტუციის ინიციატივით მოეწყო. ადმინისტრაციულ პერსონალთან შეხვედრებისას ცნობილი გახდა, რომ სამომავლოდ უკვე დაგეგმილია რამდენიმე სპორტული ღონისძიება, სადაც სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

ბოლო რეკომენდაციის საპასუხოდ, ინსტიტუციაში დაარსდა ვაჟა-ფშაველას სახელობის ფონდი. ფონდის ძირითად მიზნად განსაზღვრულია სტიპენდიის გაცემა და სწავლის საფასურის ნაწილობრივ

დაფინანსება. სტუდენტი სამოტივაციო წერილით მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და განხილვის შედეგად ხდება გადაწყვეტილების მიღება. გარდა ამისა, მოცემულ საანგარიშო პერიოდში ასევე შემუშავდა სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობის წესი, რომლის თანახმადაც, თუ სტუდენტს გააჩნია კონკრეტული სოციალური სტატუსი, მას შეუძლია მოითხოვოს სწავლის საფასურის ნაწილობრივი დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ირიცხება 4 სტუდენტი, ვინც სარგებლობს მოცემული პროგრამებით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები; • შეთანხმების დოკუმენტები ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან; • ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულება; • გზამკვლევი სტუდენტებისთვის; • ვაჟა-ფშაველას ფონდის დებულება; • სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სამსახურის დებულება; • დამსაქმებლების რეესტრი; • ინტერვიუს შედეგები; • ინსტიტუციის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, ინსტიტუციამ გააძლიეროს მუშაობა უცხოელ პარტნიორებთან ერთად ერთობლივი პროექტების მომზადების კუთხით, შესაბამისი დაფინანსების გათვალისწინებით, რათა სტუდენტებს და აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს მიეცეს შესაძლებლობა განახორციელონ მობილობა სწავლების მიზნით.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
• **ნათლად ჩამოაყალიბეთ აკადემიური პერსონალის კვლევითი ვალდებულებები.**

- **შეიმუშავეთ კვლევის პრიორიტეტების მკაფიო ხედვა და განსაზღვრეთ მისი ადგილი ბრიტანული უნივერსიტეტის საქმიანობაში.**

მოცემულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის რეორგანიზაცია. ახალი მოცემულობით ის ჩამოყალიბდა, როგორც კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტი. მოცემული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციად განისაზღვრა ინსტიტუციის კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელების პროცესის მონიტორინგი და აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაცია. გარდა ამისა, ნათლად განისაზღვრა აკადემიური პერსონალის ვალდებულებები კვლევითი საქმიანობის მიმართულებით, მასთან მიმართებაში გაიწერა ანაზღაურების წესიც. ცვლილებები შევიდა აკადემიური პერსონალის შეფასების წესში, სადაც გამოიკვეთა მათი კვლევითი ვალდებულებები და შესაბამისი პრიორიტეტები. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა აკადემიურ პერსონალთან გადაემოწმებინა რამდენად იცნობდნენ მათ ვალდებულებებს. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ მათ აქვთ ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ახდენს მათ წინასწარ ინფორმირებას, ხოლო ყოველწლიურად შეფასების შედეგები თავს იყრის კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

რაც შეეხება ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებს, სოციალური მეცნიერებების მიმართულება განისაზღვრა, როგორც კვლევითი საქმიანობის ძირითადი სფერო. რაც შეეხება საკითხებს, ის ძირითადად უკავშირდება პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას, სახელმწიფო სტრუქტურებთან და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან კომუნიკაციას. კვლევითი საქმიანობის ძირითად აქტივობებს ინსტიტუცია აფასებს როგორც ორგანიზაციის მესამე მისიის ნაწილს და ამ პერსპექტივიდან გეგმავს პროცესებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოცემული რეკომენდაცია შესრულებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტის დებულება;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტები;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის

ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

- **მკაფიო სტრატეგიის შემუშავება კვლევით საქმიანობაში გარე მკვლევარებისა და სტუდენტების ჩართვისთვის.**
- **პერსონალის თითოეული წევრისთვის ინდივიდუალური გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება, რომელიც დაკავშირებული იქნება კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობასთან.**

მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა შეიმუშავა გარე მკვლევარების უნივერსიტეტის საქმიანობაში მონაწილეობის წესი. ამ დოკუმენტით დარეგულირდა ინსტიტუციის გარედან მკვლევარის მოწვევისა და კვლევით აქტივობებში მონაწილეობის დეტალები. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმები ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში უკვე განხორციელდა რამდენიმე ერთობლივი აქტივობა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

ინტერვიუების დროს ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა როგორ რეგულირდებოდა აკადემიური პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით დაფინანსების საკითხები. ადმინისტრაციულმა პერსონალმა განმარტა, რომ ეს პროცესი რეგულირდება შესაბამისი წესით და რომ სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიური პერსონალი ვალდებულია განსაზღვროს კონკრეტული კონფერენცია, სადაც ისურვებდა მონაწილეობის მიღებას და დასაბუთებული პოზიცია წარადგინოს დეკანის სახელზე. ექსპერტთა ჯგუფმა იგივე კითხვა დასვა აკადემიურ პერსონალთან და როგორც მათი პასუხებიდან დადგინდა, ისინი სრულად არ არიან ინფორმირებული აღნიშნული წესის შესახებ. კერძოდ, აკადემიური პერსონალი აცხადებს, რომ სასურველი კონფერენციის შერჩევის შემდეგ, მათ სასწავლო წლის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლიათ დაფინანსებისთვის განაცხადის წარდგენა, მაშინ როცა წარმოდგენილი წესის მიხედვით ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისში. ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა თუ იყო შემთხვევა, როდესაც უნივერსიტეტმა დააფინანსა აკადემიური პერსონალის მონაწილეობა კონფერენციაში. როგორც აღმოჩნდა გასაგები მიზეზების გამო, ბოლო ორი შემთხვევისას კონფერენცია ჩატარდა ონლაინ. შესაბამისად, არ საჭიროებდა დამატებით ხარჯებს. მოცემული მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა. რეკომენდირებულია, გაძლიერდეს მუშაობა აკადემიური პერსონალის ინფორმირების მიმართულებით, რათა ისინი ამომწურავ ინფორმაციას ფლობდნენ კონკრეტული მექანიზმების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია კონფერენციებში მათი მონაწილეობის მიზნით დაფინანსების მოპოვების საკითხებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის წესი;
- გარე მკვლევარის უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის წესი;
- სტუდენტური გრანტების გაცემის წესი;
- მემორანდუმები კვლევით ორგანიზაციებთან;
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მუშაობა აკადემიური პერსონალის ინფორმირების მიმართულებით, რათა ისინი ამომწურავ ინფორმაციას ფლობდნენ კონკრეტული მექანიზმების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია კონფერენციებში მათი მონაწილეობის მიზნით დაფინანსების მოპოვების საკითხებთან.

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

- **უზრუნველყავით, რომ ყველა დაკავშირებული პირი კარგად იცნობდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მექანიზმს და თითოეული საქმიანობა შესრულდეს დროულად.**

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, უნივერსიტეტმა შეიტანა ცვლილებები აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის წესში. განხორციელებული ცვლილებები გახდა განვითარებაზე ორიენტირებული. როგორც ინტერვიუების დროს გახდა ცნობილი, მოცემული წესის მიხედვით უკვე განხორციელდა შეფასების პროცესი, რამაც გამოკვეთა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებული დეტალები. მიმდინარე სასწავლო წლიდან, მოცემული წესის შესაბამისად, აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტთან შეთანხმებით განსაზღვრავს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმას, შემდეგ კი ახორციელებს ამ გემგის შესრულების მონიტორინგს. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ისინი იცნობდნენ შეფასების არსებულ მექანიზმებს და მათი საქმიანობის დაგეგმვისას ხელმძღვანელობდნენ არსებული წესით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
• **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პარკინგის მოწყობა.** მოცემული რეკომენდაციის საპასუხოდ უნივერსიტეტმა წარმოადგინა ფოტო მასალა, რომელიც მოწმობს, რომ შენობაში შესასვლელთან ახლოს მოეწყო პარკინგი სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • წარმოდგენილი ფოტომასალა პარკინგის მოწყობის თაობაზე.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
• **უზრუნველყავით, რომ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი იყოს მთელი საკითხავი მასალა.**

- **ბიბლიოთეკის პერსონალის ენობრივი შესაძლებლობების შესაბამისად, უზრუნველყავით საბიბლიოთეკო მომსახურებების ხელმისაწვდომობა ყველა მომავალი სტუდენტისათვის, მათ შორის უცხოენოვანებისთვისაც.**

მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ განაახლა საბიბლიოთეკო ფონდი, მათ შორის, შეიძინა სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ლიტერატურა. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, ლიტერატურის შეძენა არის მუდმივმოქმედი პროცესი. აღნიშნული ლიტერატურა განლაგებულია საბიბლიოთეკო სივრცეში და ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში, შესაბამისი სტანდარტის დაცვით. რაც შეეხება სამეცნიერო ბაზებზე წვდომას, უნივერსიტეტმა განახორციელა შესყიდვა საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უშუალოდ მონიტორინგის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე მოაწერა ხელი ხელშეკრულებას შესაბამის მომწოდებელთან. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა ხელშეკრულება, საიდანაც, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე წვდომის უფლებისთვის (4 თვე) უნივერსიტეტი იხდის იმდენს, რამდენსაც გადაიხდის მომდენო წლის წვდომისთვის (12 თვე). მართალია ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია, აქვე დამატებით განმარტავს, რომ სასურველია, ბიბლიოთეკის შესყიდვების დაგეგმვა მოხდეს იმგვარად, რომ შესაბამისი აქტივობები იყოს ხარჯ-ეფექტური.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ენობრივი კომპეტენციები შესაბამისობაშია მოყვანილი არსებულ საჭიროებასთან. თანამშრომლების უცხო ენების ცოდნის კომპეტენცია სავსებით საკმარისია, რომ სერვისის მიწოდება უზრუნველყონ, მათ შორის უცხოელი სტუდენტებისთვის. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ნაბეჭდი ლიტერატურის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი;
- სამეცნიერო ბაზის შესყიდვის ხელშეკრულება;
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- სასურველია, სამეცნიერო ბაზების შეძენისას მხედველობაში იქნეს მიღებული მათზე წვდომის უფლების ვადებისა და ღირებულების კორელაცია, რათა უფრო ხარჯ-ეფექტური იყოს პროცესი.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაციები არ იყო განსაზღვრული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

- **ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა.**
- **დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის რეალისტური და გაზომვადი გეგმის შემუშავება.**

მოცემული რეკომენდაციების საპასუხოდ, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა მოახდინა ფინანსური მართვის პოლიტიკის დოკუმენტის ცვლილება. კერძოდ, განახლების შემდეგ განისაზღვრა ბიუჯეტირების პროცესში ჩართული მხარეების ფუნქცია-მოვალეობები, მათი პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული დეტალები. მათ შორის, ფინანსური ნაწილის სტრუქტურულ ერთეულში დაემატა ადამიანური რესურსი შესყიდვების მიმართულებით. 2021 წლიდან სასწავლო უნივერსიტეტში დაინერგა ელექტრონული სისტემა, რომელიც გამოიყენება ფინანსური ნაკადების და მათთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების მიზნით, ასევე, ამავე წლიდან სასწავლო უნივერსიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა აუდიტორულ კომპანიასთან, რომელიც წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ახორციელებს ფინანსური ნაწილის აუდიტს. წარმოდგენილი

დოკუმენტაციის და ინტერვიუების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია. რაც შეეხება შემოსავლების დივერსიფიკაციის საკითხს, ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი განმარტავს, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ტრენინგ ცენტრი, რომლის საქმიანობის ძირითად კომპონენტად განისაზღვრა მოკლევადიანი სასერტიფიკატო ტრენინგ კურსების შეთავაზება დაინტერესებული პირებისთვის. პირველი ასეთი კურსი უკვე შემუშავებულია და მისი განხორციელება იგეგმება მიმდინარე აკადემიურ წელს. სამომავლოდ, უნივერსიტეტი გეგმავს უფრო გააფართოვოს ტრენინგ კურსების ჩამონათვალი და ის მორგებული იყოს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ინტერესებს. ინტერვიუების დროს ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი გეგმავს სხვა სამაგისტრო პროგრამის შემუშავებას და აკრედიტირებას და სწორედ, ამასაც განიხილავს შემოსავლების გაზრდის კომპონენტად. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუს შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • ფინანსური მდგრადობის დოკუმენტი; • ბიუჯეტის შესრულების ანგარიში; • ფინანსური მართვისა და კონტროლის პოლიტიკა; • ინტერვიუს შედეგები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	პოლიტიკის მეცნიერება	ინგლისური	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი (0312)	240	ავტორიზებული	07.12.2020 №1214796

2	ბიზნესი და მენეჯმენტი	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (0413)	240	ავტორიზებული	07.12.2020 №1214796
3	ბრიტანეთის კვლევები	ინგლისური	ბრიტანეთის კვლევების მაგისტრი (0388)	120	აკრედიტებული	12.08.2022 №952866
4	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი)	ქართული	-	60	აკრედიტებული	12.07.2022 №794251